აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №2

28/12/2023 წელი **ქ. ბათუმი**
12[00] საათი.

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარმენ ჯალაღონია.

სხდომას ესწრებოდნენ: ნოდარ მელაძე, ტარიელ გოგიტიძე, ირაკლი გვარჯალაძე, მარიამ გუგუნავა, ციალა შავაძე და თამარ ქამადაძე.

არ ესწრებოდა: ზაალ ზაალიშვილი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. დადგენილება
„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ მოხელეთა ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ, რომლებსაც არ ესაჭიროებათ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2018 წლის 27 აგვისტოს №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

2. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ;

3. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ;

4. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2018 წლის 27 აგვისტოს №7 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ;

5. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 7;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. დადგენილება
„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ მოხელეთა ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ, რომლებსაც არ ესაჭიროებათ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2018 წლის 27 აგვისტოს №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

2. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ;

3. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ;

4. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2018 წლის 27 აგვისტოს №7 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

1. დადგენილება
„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ მოხელეთა ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ, რომლებსაც არ ესაჭიროებათ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი“ აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2018 წლის 27 აგვისტოს №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კომისიის წევრებს გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ მოხელეთა ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ, რომლებსაც არ ესაჭიროებათ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2018 წლის 27 აგვისტოს №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ მოხელეთა ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ, რომლებსაც არ ესაჭიროებათ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2018 წლის 27 აგვისტოს №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე	7;
წინააღმდეგი	0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი:)

მიღებულია დადგენილება:

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ მოხელეთა ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ, რომლებსაც არ ესაჭიროებათ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2018 წლის 27 აგვისტოს №4 დადგენილებით (სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, ვებ-გვერდი www.matsne.gov.ge, 29/08/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010220020.34.059.016053) დამტკიცებული დანართი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

მუხლი 2

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3

ამ დადგენილების პირველი მუხლი ამოქმედდეს 2024 წლის 15 თებერვლიდან.

მუხლი 4

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებითანავე.

(თან ერთვის)

2. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხარჯთაღრიცხვას უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს უსკო. სხდომის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონით უსკო-ზე დამტკიცებული

საბიუჯეტო ასიგნებების შესაბამისად, უსკო-ს მიერ დამტკიცებული უნდა იქნას 2024 წლის მიმდინარე ხარჯები (ხარჯთაღრიცხვა) და 2024 წლის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი ხარჯები, რის შემდეგ, სიტყვა გადასცა უსკო-ს საფინანსო საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსს, ლევან სამნიძეს, კომისიისათვის დეტალურად გაეცნო უსკო-ს 2024 წლის ხარჯთაღრიცხვა.

საფინანსო საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსმა, ლევან სამნიძემ, კომისიას დეტალურად გააცნო ყველა ის საკითხი რაც წარმოდგენილი იყო უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 7;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის ხარჯთაღრიცხვა, დანართის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის ძალაში შესვლის დღიდან.

(თან ერთვის)

3. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კომისიას გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი. პარმენ ჯალაღონიას განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების ცვლილება განპირობებულია როგორც „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ ასევე „აჭარის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონების საფუძველზე, რომლითაც განხორციელდა სახელფასო ფონდის ზრდა. მისი განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულება. მისი მიღების შემთხვევაში, განკარგულების N1 დანართი ამოქმედდება 2024 წლის პირველი იანვრიდან, ხოლო N2 დანართი 2024 წლის 15 თებერვლიდან.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 7;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო

სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 121-ე მუხლის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, 25-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხა №1 დანართის შესაბამისად.

2. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხა №2 დანართის შესაბამისად.

3. განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხა №1 დანართი ძალადაკარგულად გამოცხადდეს 2024 წლის 15 თებერვლიდან.

4. განკარგულების მე-2 პუნქტით დამტკიცებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხა №2 დანართი ამოქმედდეს 2024 წლის 15 თებერვლიდან.

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2022 წლის 23 დეკემბრის №9 განკარგულება.

6. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი,

ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

7. ეს განკარგულება ამოქმედდეს 2024 წლის პირველი იანვრიდან.

(თან ერთვის)

4. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2018 წლის 27 აგვისტოს №7 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კომისიას გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2018 წლის 27 აგვისტოს №7 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2018 წლის 27 აგვისტოს №7 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 7;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია, **ადგენს:**

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2018 წლის 27 აგვისტოს №7 განკარგულებით დამტკიცებულ №1, №2 და №3 დანართებში შეტანილი იქნეს ცვლილებები და დამატებები და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

ა) №1 დანართის (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საოქმო სარეგისტრაციო და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის დებულება) დებულების მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) დეპარტამენტი შედგება დეპარტამენტის უფროსის, განყოფილების უფროსის, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტებისა და ასევე საჭიროების შემთხვევაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისგან.“.

ბ) №2 დანართის (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დებულება) დებულების მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) დეპარტამენტი შედგება დეპარტამენტის უფროსის, განყოფილების უფროსის, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტებისა და ასევე ასევე საჭიროების შემთხვევაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისგან.“.

გ) №3 დანართის (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის ინსტიტუციური განვითარებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დებულება) დებულების მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) დეპარტამენტი შედგება დეპარტამენტის უფროსის, განყოფილებების უფროსების და მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტებისა და ასევე საჭიროების შემთხვევაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისგან.“.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი,

ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ამ განკარგულების პირველი პუნქტი ამოქმედდეს 2024 წლის 15 თებერვლიდან.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **პარმენ ჯალაღონია**

კომისიის მდივანი **ტარიელ გოგიტიძე**